

# ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2012 წლის 6 აპრილი

ქ.ჭიათურა

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის იმ სოფლების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, საიდანაც სავალდებულოა საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ავტოსადგურებიდან ავტობუსების რეისში გასვლა**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აგვისტოს №1-1/1558 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოსადგურების ფუნქციონირების წესი და პირობების“ მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად,

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

## **მუხლი 1**

დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის იმ სოფლების ჩამონათვალი, საიდანაც სავალდებულოა საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ავტოსადგურებიდან ავტობუსების რეისში გასვლა:

- ა) სოფელი დიდი კაცხი;
- ბ) სოფელი დარკვეთი;
- გ) სოფელი უსახელო;
- დ) სოფელი ვაჭევი.

## **მუხლი 2**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ი.ჭუმბურიძე**